# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №130/01/19

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის დავით შერაზადიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ფილა 2010"** (ს/კ **425357240**) (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ოთარი გოგოლაძის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (საქართველოს მთავრობის განკარგულება N208 08,02,2019წ **SMP190000955 და SMP190000239)** შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ბოლნისის მუნიციპალიტეტში სოფელ ცურტავში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოები. (CVP 45233142).

## 3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი საამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **29780,94 (ოცდაცხრაათას შვიდას ოთხმოცი ლარი და 94 თეთრი)** ლარს. დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3. ხარჯთაღრიცხვა - დანართი №1.

## 5. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

5.3 წინასწარი ანგარისწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

5,4 ეტაპობრივი ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მაქსიმუმ ერთხელ, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 80%-ის ოდენობით, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (შესრულებული სამუშაოს აქტი - ფორმა N2 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით; მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი ანგარიშფაქტურა ) წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5,5 საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება სამუშაოს დასრულების შემდეგ, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა (შესრულებული სამუშაოს აქტის - ფორმა N2 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით; მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი ანგარიშფაქტურა) და შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენიდან (ექსპერტის ხარჯებს დაფარავს შემსრულებელი) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5,5 ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში - საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს შესაბამისი რაოდენობის თანხის გადახდიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენენ:

6,3,1 **დავით ოქრიაშვილი** - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

6,3,2 **დავით ქავთარაძე** - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის განყოფილების მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

## 7 სამუშაოს შესრულების პირობები

7.1 სამუშაოს შესრულების ვადა - **ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე (2019 წლის 11 ივნისიდან -- 2019 წლის 10 ივლისის ჩათვლით).**

## 8 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 **შემსყიდველი ვალდებულია:**

8.1.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.1.2. სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის ყურში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.1.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.4.წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

**8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:**

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2,2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების აქტს.

**8.3.მიმწოდებელი ვალდებულია:**

8.3.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2.სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

8.3.3.სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.3.4.სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1.მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

## 9 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

9.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10 პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 12 ფორს მაჟორი

12.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. (შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა).

## 15. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

15.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადა შეადგენს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1(ერთი) წელს.

15.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ექსპლუატაციის პროცესში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი საკუთარი ხარჯებით.

## 16. შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა.

16.1 დასრულებულ (სრული შესრულებული) სამუშოებს ჩაუტარდება საინჟინრო ექსპერტიზა.

16.2 საინჟინრო ექსპერტიზას საკუთარი ხარჯებით ახორციელებს შემსრულებელი.

16.3 შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებიდან (სრული შესრულებული სამუშაოს აქტის (ორმხრივად ხელმოწერილი საბოლოო ფორმა N2) გაფორმებიდან) მაქსიმუმ 50 კალენდარულ დღეში შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა.

16.4 სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტს დაუდგება ვალდებულება დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს დასკვნის გამცემი აკრედიტირებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობა.

16.5 16,3 ქვეპუნქტში მოთხოვნილი ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

## 17 სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

17.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

## 18 რეკვიზიტები

*შემსყიდველი:*
**ბოლნისის მუნიციპალიტეტი**
მის: ქ. ბოლნისი, სს ორბელიანის ქ. N106
ს/კ 225393963
მიმღები ბანკი: სახემწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი GE24NB0330100200165022

David Sherazadishvili
Digitally signed by David Sherazadishvili
Date: 2019.06.10 15:32:30 +04'00'

მუნიციპალიტეტის მერი:
დავით შერაზადიშვილი

*მიმწოდებელი:*
შპს „ფილა 2010“
ბოლნისის რ-ნი, სოფ. რატევანი
ს/კ 425357240

სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE22BG0000000912492800

Shio Kapanadze
Digitally signed by Shio Kapanadze
Date: 2019.06.10 15:05:28 +04'00'

დირექტორი
შიო კაპანაძე

## დანართი N1

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სოფელ ცურტავში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა

| N | შიფრი | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთ. | ნორმა ერთ-ზე | რაოდენობა | მასალები | | ხელფასი (ლარი) | | მანქ. მექანიზმები (ლარი) | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | (ლარი) |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| თავი 1. ტერიტორიის ათვისება და მოსამზადებელი სამუშაოები | | | | | | | | | | | | |
| 1 | კვლევა-ძიების კრებული გვ. 557ცხრ-17 | ტრასის აღდგენა და დამაგრება | კმ | | 0,363 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 93,22 | 33,84 | | 0,00 | 6,00 | 203,03 | | 0,00 | 203,03 |
| თავი 2 მიწის სამუშაოები | | | | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 1 | 1-29-3<br>1-29-10 | გრუნტის დამუშავება ბულდოზერით, გადაადგილება 30 მ-ზე | $მ^3$ | | 179,69 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | გვ138. პოზ146 | ბულდოზერი 108ცხ. ძ. | მანქ/სთ | 0,048 | 8,61 | | 0,00 | | 0,00 | 41,50 | 357,19 | 357,19 |
| 2 | 1-22-14 | გრუნტის დატვირთვა ექსკავატორის საშუალებით | $მ^3$ | | 179,69 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0,016 | 2,79 | | 0,00 | 6,00 | 16,71 | | 0,00 | 16,71 |
| | გვ137. პოზ126 | ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0,5მ3 | მანქ/სთ | 0,035 | 6,24 | | 0,00 | | 0,00 | 19,70 | 122,83 | 122,83 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,002 | 0,38 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 1,20 | 1,20 |
| | ხრფ-2019. I. გვ144 | გრუნტის გატანა ნაყარში 5კმ-ზე | ტნ | | 323,43 | | 0,00 | | 0,00 | 3,47 | 1 122,31 | 1 122,31 |
| 3 | 1-62-5 | გზის მოშანდაკება გრეიდერით | $მ^2$ | | 1 815,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | ავტოგრეიდერი მისაბმელით | მანქ/სთ | 0,00040 | 0,73 | | 0,00 | | 0,00 | 8,06 | 5,85 | 5,85 |
| | | ტრაქტორი 79კვტ. | მანქ/სთ | 0,00040 | 0,73 | | 0,00 | | 0,00 | 37,59 | 27,29 | 27,29 |
| თავი 3, საგზაო სამოსი | | | | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 1 | 27-7-2 | საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევით სისქით h15სმ (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K-1,22) | $მ^3$ | | 223,16 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0,15 | 33,47 | | 0,00 | 6,00 | 200,84 | | 0,00 | 200,84 |
| | გვ139. პოზ200 | ავტოგრეიდერი 79კვტ. | მანქ/სთ | 0,022 | 4,91 | | 0,00 | | 0,00 | 32,80 | 161,03 | 161,03 |
| | გვ140. პოზ220 | სატკეპნი საგზაო გლუვი 18ტ. | მანქ/სთ | 0,027 | 6,03 | | 0,00 | | 0,00 | 26,60 | 160,27 | 160,27 |
| | გვ140. პოზ229 | მოსარწყავი მანქანა 6000 ლ. | მანქ/სთ | 0,01 | 2,23 | | 0,00 | | 0,00 | 57,70 | 128,76 | 128,76 |
| | გვ32 პოზ230 | ქვიშა ხრეშოვანი ნარევი (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,22) | მ3 | 1,22 | 272,25 | 17,00 | 4 628,25 | | 0,00 | | 0,00 | 4 628,25 |
| | | წყალი | მ3 | 0,07 | 15,62 | 3,60 | 56,24 | | 0,00 | | 0,00 | 56,24 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გვ32 პოზ230 | ქვიშა ხრეშოვანი ნარევით (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ$^3$ | 1,1000 | 0,46 | 17,00 | 7,85 | | 0,00 | | 0,00 | 7,85 |
| 5 | 22-11-11 | წასაცხები ჰიდროიზოლაციის მოწყობა (ბიტუმ პოლიმერული მასტიკა) 2 ფენა | კმ | | 0,0070 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 426,00 | 2,98 | | 0,00 | 6,00 | 17,89 | | 0,00 | 17,89 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 596,00 | 4,17 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 13,35 | 13,35 |
| | გვ39 პოზ547 | ბიტუმ პოლიმერული მასტიკა | ტნ | 16,2000 | 0,11 | 12,70 | 1,44 | | 0,00 | | 0,00 | 1,44 |
| | გვ38 პოზ485 | მინაბამბა | მ$^2$ | 405,0000 | 2,84 | 1,60 | 4,54 | | 0,00 | | 0,00 | 4,54 |
| | გვ44 პოზ88 | ქაღალდი შესაფუთი | მ$^2$ | 346,0000 | 2,42 | 0,25 | 0,61 | | 0,00 | | 0,00 | 0,61 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 34,00000 | 0,24 | 3,20 | 0,76 | | 0,00 | | 0,00 | 0,76 |
| 6 | 22-5-11 | ლითონის მილის d-530 მმ. კედლის სისქით 6,0მმ. ჩადება ტრანშეაში | გრძ/მ | | 7,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0,9730 | 6,81 | | 0,00 | 4,60 | 31,33 | | 0,00 | 31,33 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,4830 | 3,38 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 10,82 | 10,82 |
| | გვ12 პოზ97 | ფოლადის მილი d=530მმ | გრძ/მ | პროექტით | 7,00 | 158,60 | 1 110,20 | | 0,00 | | 0,00 | 1 110,20 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0,2200 | 1,54 | 3,20 | 4,93 | | 0,00 | | 0,00 | 4,93 |
| 7 | 30-3-2 | ტრანშეის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ$^3$ | | 1,68 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 2,1200 | 3,56 | | 0,00 | 6,00 | 21,37 | | 0,00 | 21,37 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,1010 | 0,17 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 0,54 | 0,54 |
| | გვ32 პოზ230 | ქვიშა ხრეშოვანი ნარევი (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ$^3$ | 1,1000 | 1,85 | 17,00 | 31,42 | | 0,00 | | 0,00 | 31,42 |
| 8 | 1-23-6 | მონოლითური ბეტონის პორტალური კედლების მოსაწყობად ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე | მ$^3$ | | 1,44 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0,0340 | 0,05 | | 0,00 | 6,00 | 0,29 | | 0,00 | 0,29 |
| | გვ138. პოზ125 | ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0,25მ$^3$ | მანქ/სთ | 0,0803 | 0,12 | | 0,00 | | 0,00 | 27,70 | 3,20 | 3,20 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,0056 | 0,01 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 0,03 | 0,03 |
| | სრფ-2018. IVკვ. გვ143 | ზედმეტი გრუნტის გატანა ნაყარში 5კმ-ზე | მ$^3$ | | 2,59 | | 0,00 | | 0,00 | 3,40 | 8,81 | 8,81 |
| 9 | 30-3-2 | ქვესაგები ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ$^3$ | | 0,12 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 2,1200 | 0,25 | | 0,00 | 6,00 | 1,53 | | 0,00 | 1,53 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,1010 | 0,01 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 0,04 | 0,04 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 27-11-1 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ღორღით ფრაქციით 0-40მმ სისქით 10 სმ | მ$^{2}$ | | 1 815,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0,033 | 59,90 | | 0,00 | 6,00 | 359,37 | | 0,00 | 359,37 |
| | გვ138. პოზ146 | ბულდოზერი 108ცხ. ძ. | მანქ/სთ | 0,00258 | 4,68 | | 0,00 | | 0,00 | 41,50 | 194,33 | 194,33 |
| | გვ139. პოზ200 | ავტოგრეიდერი 79კვტ. | მანქ/სთ | 0,00042 | 0,76 | | 0,00 | | 0,00 | 32,80 | 25,00 | 25,00 |
| | გვ140. პოზ218 | სატკეპნის საგზაო 5ტნ | მანქ/სთ | 0,0112 | 20,33 | | 0,00 | | 0,00 | 21,60 | 439,08 | 439,08 |
| | გვ140. პოზ219 | სატკეპნის საგზაო გლუვი 10ტნ | მანქ/სთ | 0,0248 | 45,01 | | 0,00 | | 0,00 | 25,80 | 1 161,31 | 1 161,31 |
| | გვ140. პოზ229 | მოსარწყავი მანქანა 6000 ლ. | მანქ/სთ | 0,00414 | 7,51 | | 0,00 | | 0,00 | 57,70 | 433,56 | 433,56 |
| | გვ140. პოზ230 | ქვის ნამტვრევის მანაწილებელი მანქანა | მანქ/სთ | 0,00053 | 0,96 | | 0,00 | | 0,00 | 33,80 | 32,51 | 32,51 |
| | გვ32 პოზ231 | ღორღი (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით k=1,26) | მ$^{3}$ | პროექტით | 228,69 | 28,00 | 6 403,32 | | 0,00 | | 0,00 | 6 403,32 |
| | | წყალი | მ$^{3}$ | 0,03 | 54,45 | 3,60 | 196,02 | | 0,00 | | 0,00 | 196,02 |
| თავი 4,ხელოვნური ნაგებობები | | | | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| გზის გადამკვეთი d=530მმ ლითონის მილების მოწყობა | | | | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 1 | 1-23-6 | ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით ჩამჩის მოცულობით 0,25 მ3 და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე | მ$^{3}$ | | 4,41 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0,0340 | 0,15 | | 0,00 | 6,00 | 0,90 | | 0,00 | 0,90 |
| | გვ138. პოზ125 | ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0,25მ$^{3}$ | მანქ/სთ | 0,0803 | 0,35 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,0056 | 0,02 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 2 | 1-80-2 | გრუნტის დამუშავება ხელით მექანიზმის მიუდგომელ ადგილებში და დატვირთვა ა/თვითმცლელებზე | მ$^{3}$ | | 0,44 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 2,0600 | 0,91 | | 0,00 | 6,00 | 5,45 | | 0,00 | 5,45 |
| 3 | 1-23-6 | ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ექსკავატორის საშუალებით | მ$^{3}$ | | 0,44 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0,0340 | 0,01 | | 0,00 | 6,00 | 0,09 | | 0,00 | 0,09 |
| | გვ138. პოზ125 | ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0,25მ$^{3}$ | მანქ/სთ | 0,0803 | 0,04 | | 0,00 | | 0,00 | 27,70 | 0,98 | 0,98 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,0056 | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 0,01 | 0,01 |
| | გვ144 | ზედმეტი გრუნტის გატანა ნაყარში 5კმ-ზე | ტნ | | 8,73 | | 0,00 | | 0,00 | 3,47 | 30,30 | 30,30 |
| 4 | 30-3-2 | ქვესაგები ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ$^{3}$ | | 0,42 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 2,1200 | 0,89 | | 0,00 | 6,00 | 5,34 | | 0,00 | 5,34 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,1010 | 0,04 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 0,14 | 0,14 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გვ32 პოზ230 | ქვიშა ხრეშოვანი ნარევით (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ³ | 1,1000 | 0,13 | 17,00 | 2,24 | | 0,00 | | 0,00 | 2,24 |
| 10 | 30-8-3 | პორტალური კედლის მოწყობა B-22,5 F200 W6 კლასის მონოლითური ბეტონით (ფუნდამენტი, ტანი, პარაპეტი) | მ³ | | 5,92 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 9,5200 | 56,36 | | 0,00 | 6,00 | 338,15 | | 0,00 | 338,15 |
| | გვ136. პოზ51 | ამწე მუხლუხა სვლაზე 16ტ | მანქ/სთ | 0,7400 | 4,38 | | 0,00 | | 0,00 | 31,60 | 138,43 | 138,43 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 1,2200 | 7,22 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 23,11 | 23,11 |
| | გვ34 პოზ346 | ბეტონი B-22,5 F200 W6 | მ³ | 1,0400 | 6,16 | 108,00 | 664,93 | | 0,00 | | 0,00 | 664,93 |
| | გვ35 პოზ370 | ცემენტის ხსნარი | მ³ | 0,0107 | 0,06 | 72,00 | 4,56 | | 0,00 | | 0,00 | 4,56 |
| | გვ47 პოზ8 | ხის მასალა | მ³ | 0,1300 | 0,77 | 530,00 | 407,89 | | 0,00 | | 0,00 | 407,89 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 1,6900 | 10,00 | 3,20 | 32,02 | | 0,00 | | 0,00 | 32,02 |
| 11 | 30-3-2 | პორტალური კედლების უბეების შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ³ | | 1,30 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 2,1200 | 2,76 | | 0,00 | 6,00 | 16,54 | | 0,00 | 16,54 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0,1010 | 0,13 | | 0,00 | | 0,00 | 3,20 | 0,42 | 0,42 |
| | გვ32 პოზ230 | ქვიშა ხრეშოვანი ნარევით (ტკეპნის კოეფიციენტის გათვალისწინებით K=1,1) | მ³ | 1,1000 | 1,43 | 17,00 | 24,31 | | 0,00 | | 0,00 | 24,31 |
| | | | | | | სულ თავი 1-4-ის მიხედვით | 13581,51905 | | 1218,835553 | | 4602,723887 | 19 403,08 |
| | | | | | | | | | | მასალების ტრანსპორტირება | 0,09 | 1 222,34 |
| | | | | | | | | | | | ჯამი: | 20 625,42 |
| | | | | | | | | | | ზედნადები ხარჯები | 0,10 | 2 062,54 |
| | | | | | | | | | | | ჯამი: | 22 687,96 |
| | | | | | | | | | | გეგმიური მოგება | 0,08 | 1 815,04 |
| | | | | | | | | | | | ჯამი: | 24 502,99 |
| | | | | | | | | | | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | 735,09 |
| | | | | | | | | | | | ჯამი: | 25 238,08 |
| | | | | | | | | | | დღგ | 18% | 4 542,85 |
| | | | | | | | | | | | სულ ხარჯთაღრიცხვით | 29 780,94 |

Shio Kapanadze
Digitally signed by Shio Kapanadze
Date: 2019.06.06 17:22:58 +04'00'